



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011731088615720

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

331844

18 / სექტემბერი / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 351815/17; **თარიღი:** 15.09.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: შალვა ბახტაძე (პირადი ნომერი 61001004684).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის აჭარის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „აჭარის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020222463-09 (17.08.2020) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: ბათილად იქნეს ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ჩართულ იქნეს ადმინისტრაციულ წარმოებაში და მიეცეს საშუალება წარადგინოს და დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები და უფლებები მოცემულ საქმეზე პირადად ან/და ადვოკატის მეშვეობით, ეცნობოს საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, შპს „დომუს სისაიდი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 245618498), თამუნა კახიძე (პირადი ნომერი 61004008697).

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, დასახლება გონიო.

№ 351815/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

№ 882020222463 სარეგისტრაციო წარმოებაზე, 2020 წლის 31 მარტს მომზადებული სიტუაციური ნახაზის მიხედვით, მითითებულია ზედდება 05.36.24.476 (მესაკუთრე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), 05.36.24.425 (მესაკუთრე - შპს „დომუს სისაიდი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 245618498)), 05.36.24.115 (მესაკუთრე - სახელმწიფო) და 05.36.24.423 (მესაკუთრე - თამუნა კახიძე (პირადი ნომერი 61004008697)) საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებულ უძრავ ნივთებთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ უნდა იქნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, შპს „დომუს სისაიდი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 245618498), თამუნა კახიძე (პირადი ნომერი 61004008697).

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების საფუძველზე,

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში შალვა ბახტაძის № 351815/17 (15.09.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;

2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ იქნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, შპს „დომუს სისაიდი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 245618498), თამუნა კახიძე (პირადი ნომერი 61004008697);

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები დაეგზავნოთ აჭარის რეგიონულ ოფისსა და დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ პირებს;

4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და ბათუმის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. № 7) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;

6. წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე